

ქრისტიანობის, როგორც მსოფლიო რელიგიის გავრცელების და მდგრადობის ტექნოლოგია

ერთ-ერთი საინტერესო და პასუხგაუცემელი კითხვა ცივილიზაციის ისტორიაში არის იმის შესახებ, თუ რატომ გავრცელდა ქრისტიანობა, რა იყო ამ გავრცელების და პოპულარობის მიზეზი.

დღესდღეობით, აკადემიურ ტექსტებში და თავებში გავრცელებული მოსაზრება ამ საკითხის შესახებ ინტერნეტში მოპოვებული ამ სტუდენტური ციტატით შეიძლება გადმოვცეთ:

თანდათან, უხილავად, ქრისტიანულმა დოქტრინამ, იმედმა და ქველმოქმედებამ შეცვალა რომის იმპერია. ქრისტიანობამ შეცვალა წესი, რომლის მიხედვითაც მეზობლები ექცეოდნენ ავადმყოფს, რომლითაც მშობლები ექცეოდნენ შვილებს და წესი, როგორც ქმრები ექცეოდნენ ცოლებს. ეს იყო ცხოვრების ეს წესი, პლიუს - მარადიული გადარჩენის დაპირება, რომელმაც შემოიკრიბა ამდენი ახალი მორწმუნე. ქრისტიანობა მიმართული იყო ხალხის საჭიროებებზე, როგორც ამქვეყნიურ, ასევე, იმქვეყნიურ ცხოვრებაში, წარმართობისაგან განსხვავებით, რომელიც არ ჰყვებოდა დამაკმაყოფილებლად შემდგომი ცხოვრების შესახებ, და განსხვავებით ეგვიპტური რელიგიისაგან, რომელიც არ იძლეოდა ამ ცხოვრებისათვის პრაქტიკულ რჩევებს. ქრისტიანობა განსაკუთრებულ ადგილს აძლევდა ბავშვებს, ოჯახებს, განსაკუთრებულ უფლებებს აძლევდა ქალებს¹. საერთოდ, ქრისტიანობის საშუალებით ადამიანები ცხოვრობდნენ უფრო კარგად, ვიდრე სხვა რელიგიების მიმდევრობის შემთხვევაში.

შეიძლება ბევრი ვწერო ქრისტიანობასა და სხვა, იმდროინდელ რელიგიებს შორის მსგავსება განსხვავებაზე²: ის, თუ რა მცირეა განსხვავება ქრისტიანობას და მითრაიზმს შორის, ის, თუ რითი ჰგავს ქრისტიანობა სხვა იმდროინდელ რელიგიებს³. თუმცა, დოქტრინალური მსგავსება-განსხვავება ჩრდილში დგება, როდესაც ძირითადი კითხვა

¹ როდნი სტარკის არგუმენტი მის “Rise of cristianity”-ში.

² Robin Lane Fox, Pagans and Christians: In the Mediterranean World from the Second Century AD to the Conversion of Constantine (London: Viking, 1986,

³ Klauck, Hans-Josef; McNeil, Brian (December 2003). The religious context of early Christianity: a guide to Graeco-Roman religions. T & T Clark Ltd.. pp. 146-150.

ინდოქტრინირებულ პოპულაციას ეხება. ანუ, ამ თავის დასაწყისში დასმული კითხვა, თუ რამ აქცია ქრისტიანობა ასე პოპულარულ რელიგიად, უნდა „ვთარგმნოთ“ კითხვად, თუ რა იყო ქრისტიანობაში ისეთი, რომ მას ძალიან მალე (100-150 წლის განმავლობაში) მორწმუნეების რაოდენობის მიხედვით დომინანტური პოზიცია დააკავებინა? თანამედროვე ლიტერატურაში ამ კითხვაზე უცნაურ პასუხებს ვხვდებით, მაგალითად, პასუხს, რომ მორწმუნეების რაოდენობის მიხედვით, მე-5 საუკუნეშიც კი, ეს ასე არ იყო:

„...მაგრამ, ეს არ არის მართალი: მე-4 და ადრეულ მე-5 საუკუნეებში, წარმართობა ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი იყო: მეოთხე და ადრეულ მეხუთე საუკუნეში, წარმართობა საკმაოდ ძლიერი იყო... ამის (რომ ქრისტიანობა ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგიაა - გ.თ.) მიუხედავად, ისინი (ადრეული ეკლესიის მამები - გ.თ) არ მოითხოვდნენ წარმართობის სასწრაფო „ამოღებას“, არც იმპერატორები არ აკეთებდნენ ამას თავიანთი ახალი რწმენის მიხედვით. პირიქით - კონსტანტინეს მოქცევის შემდეგ წარმართობა მეტ-ნაკლებად ხელშეუხებლად გადარჩა საუკუნეების განმავლობაში. წარმართობა ძალიან ნელა ქრებოდა, და ამ გაქრობის პროცესში ახერხებდა ქრისტიანობაში საკუთარი ტრადიციების ნიშების შექმნას და არსებობის გაგრძელებას მხოლოდ ძალიან ზედაპირულად გაქრისტიანებულ ევროპელ მოსახლეობაში“⁴.

რაც შეეხება სტატისტიკას, ამ მხრივაც, თანამედროვე მკვლევრები ასკვნიან, რომ პირველი ქრისტიანების რიცხვი საკმაოდ მცირე იყო. იმდროინდელი ავტორების ჩანაწერები აუდიტორიების და მონაწილეების რიცხვის შესახებ ყოველთვის არ უნდა გავიგოთ პირდაპირ: გვიან შუა საუკუნეებამდე ხშირად რიცხვები უბრალოდ „ბევრის“ და „ცოტას“ აღსანიშნავად გამოიყენებოდა. მაგ. „არა მგონია ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს, რომ 6 მილიონი რაინდი არ მონაწილეობდა პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში (უფრო მეტი, ვიდრე იმდროინდელი საფრანგეთის მოსახლეობა)“⁵.

ასევე, იოსები (37-100 წწ) წერს, რომ როდესაც რომაელებმა დაიპყრეს იერუსალიმი, 1 100 000 მოქალაქე მოკლეს და 97 000 დაამონეს. სინამდვილეში, იერუსალიმში, ალბათ, 40 000-ზე მეტი არ ცხოვრობდა. თუმცა, ძველ წყაროებში ზოგიერთი რიცხვი დამაჯერებლად

⁴ Rodney Stark. The triumph of cristianity. p.198.

⁵ Ibid. p. 155.

გამოიყურება. მაგ. იოსები, ალბათ, მართალია, როდესაც ამბობს, 960 ებრაელი ზელოტი, ქალების, კაცების და ბავშვების ჩათვლით, დაიღუპა მასადაში⁶.

თუკი ამ მონაცემებს და ექსტრაპოლაციებს დავამატებთ ვოლტერისაგან⁷ და გიბბონისაგან⁸ დაწყებულ იმ „ბრალდებას“ მე-4 და მე-5 საუკუნის ავტორების მიმართ, რომ მათი მონაცემები ქრისტიანების წამების და მხეცებიან ხარობებში ჩაგდების შესახებ გაზვიადებული და გადაჭარბებულია (თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს უტყუარი მონაცემები ნერონის მიერ ქრისტიანების დაწვის შესახებ), ქრისტიანობის გავრცელების და დომინაციის საინტერესო სურათს ვიღებთ, რომელიც არანაირად არ „ჯდება“ ქრისტიანობის გავრცელების იმ ახსნაში, რომელიც ამ თავის დასაწყისში აღწერეთ, და რომელსაც სხვადასხვა განზოგადებით და დაზუსტებით იზიარებენ როგორც სასულიერო, ისე აკადემიური მკვლევრები და მორწმუნეები.

ქრისტიანობის გავრცელება და მისი ოფიციალურ და ერთადერთ რელიგიად ქცევის გზა იმპერატორ კონსტანტინე დიდის (272-337 წწ) სახელთანაა დაკავშირებული. პირველად კონსტანტინემ გამოიყენა საკუთარი ლეგიონების შტანდარტად და სიმბოლოდ ჯვარი და სხვა ადრექრისტიანული სიმბოლიკა⁹. კონსტანტინე I-მა ოფიციალურად მილანის ედიქტით გაათანაბრა ქრისტიანობა სხვა რელიგიებთან, ხოლო „არაოფიციალურად“ - ყველა სხვა რელიგიებს შორის გამოარჩია და ეხმარებოდა როგორც ფინანსურად, ასევე - ეკლესიების მშენებლობებით. სიცოცხლის ბოლოს მან ოფიციალურად აღიარა ქრისტიანობა, როგორც მისი პირადი რელიგია¹⁰.

ამავე დროს, კონსტანტინეს ხანაში სხვა რელიგიების წარმომადგენლები ოფიციალურად ისეთივე უფლებებით სარგებლობდნენ, როგორც ქრისტიანები. ქრისტიანობის ფორმალური დომინირება მოგვიანებით, კონსტანტინეს მემკვიდრეების მიერ გაფორმდა.

⁶ Ibid. 154.

⁷ წერილები.

⁸ The History of the Decline and Fall of the Roman Empire.

⁹ Jones, A.H.M. Constantine and the Conversion of Europe. Buffalo: University of Toronto Press, 1978 [1948].

¹⁰ Bowder, Diana. The Age of Constantine and Julian. New York: Barnes & Noble, 1978.

იმისათვის, რომ ვივარაუდოთ, რა იყო კონსტანტინე პირველის მიერ ქრისტიანობის ხელშეწყობის მიზეზი, თვითონ ქრისტიანობის, როგორც რელიგიის წარმოშობის და მისი განსხვავებულობის მიზეზები უნდა ვეძიოთ.

ქრისტიანობა, როგორც რელიგია რამდენიმე მომენტით გამოირჩეოდა სხვა, იმ დროს არსებული რელიგიებიდან, და ეს გამორჩეულობა ნაკლებად ეხებოდა რელიგიური ნარატივის შინაარსს - უფრო - მისი პრეზენტაციის წესს და წესებს, რომლებსაც ქრისტიანები უნდა მიჰყოლოდნენ. ეს განსხვავებებია:

1. მორალისტური რელიგია: ქრისტიანობა ალბათ, ისეთივე მკაცრი მორალისტური რელიგია იყო, როგორც იუდაიზმი, ოღონდ, იუდაიზმისაგან განსხვავებით, ის ყველასთვის ღია იყო: პავლეს ეპისტოლეებში გარკვევით წერია, რომ ქრისტიანობა ყველასთვისაა, და რომ არ არსებობს წარმოშობის და სქესის შეზღუდვა იმისათვის, რომ გახდეს ქრისტიანი და გაიზიარო ქრისტიანობის ღირებულებები;
2. ქალებთან დამოკიდებულება: ბოლო კვლევები აჩვენებს, რომ პირველ ქრისტიანთა შორის ქალები უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე კაცები და რომ ქალებს რელიგიაში მნიშვნელოვანი პოზიციები ეჭირათ. ოღონდ, ეს ე.წ. „ოჯახის ქალები“ უნდა ყოფილიყვნენ, ანუ, ისეთი ქალები, რომლებისთვისაც ოჯახურ ღირებულებებს მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მართლაც, დადასტურებულია, რომ რომაელთა სენატორების კლასში, რომლებიც ცხოვრობდნენ 283 და 423 წლებს შორის, კაცების 50 %, ხოლო ქალების 85 % იყვნენ ქრისტიანები¹¹. ქალების მიმართ ქრისტიანული რელიგიის ყურადღება, მეძავთა უარყოფა, „წესიერი“ ქალების მნიშვნელობის, ოჯახის, ბავშვების მოვლის და მონოგამიისადმი დამოკიდებულება, ალბათ, იყო ის, რაც ამ რელიგიის პოპულარობას ამტკიცებდა სხვა, არა-ქალებზე-ორიენტირებულ (მაგ. მითრას¹²) რელიგიის მიმართ;
3. ქრისტიანობა, ისევე, როგორც იუდეველობა, იყო ჰომოსექსუალიზმის, განსაკუთრებით, კაცთა ჰომოსექსუალიზმის რადიკალური წინააღმდეგი. მიუხედავად იმისა, რომ იუდაიზმიც გმობდა გეი და ლესბოსურ ურთიერთობებს (ლევიტელთა, 18;22 და 20;13, სოდომის და გომორის ამბავი), ეს დაგმობა არ იყო

¹¹ Stark. p.122

¹² Beck, Roger (2002-07-20). "Mithraism". Encyclopaedia Iranica, Online Edition. Retrieved 2011-03-24.

„თემს გარეთ მიმართული“, ე.წ. უნივერსალური აგრესია, რაკი მხოლოდ იუდეველების, როგორც რჩეული ერის არსებობის წესებს ადგენდა. გარდა ამისა, ლევიტელთა წიგნის გარდა, ძველი აღთქმის კონკრეტული ადგილების ინტერპრეტაცია, როგორც ჰომოსექსუალიზმის უპირობო დაგმობა, არ არის ერთგვაროვანი¹³. ქრისტიანობა, როგორც საყოველთაო და ერთადერთი ჭეშმარიტების რელიგია, კრძალავდა ჰომოსექსუალობას per se. ანუ, ის ყოველგვარ ჰომოსექსუალურ პრაქტიკას გმობდა, როგორც ჭეშმარიტებისთვის მიუღებელს და ამორალურს.

ჰომოსექსუალიზმის წინააღმდეგ ყველაზე უფრო მეტი გამოთქმა პავლეს ეპისტოლეებში გვხვდება.

რომაელთა.

1.26. ამიტომაც მისცა ისინი ღმერთმა საგინებელ ვნებებს, ვინაიდან ქალებმა მათი ბუნების წესი არაბუნებრივით შეცვალეს.

1.27. ასევე, კაცებმაც დაუტევეს ქალებთან ბუნებრივი ცხოვრების წესი, და გულისთქმით გახურებულები აღერივნენ ერთმანეთს, მამრი მამრთან იქმოდა სარცხვინელს, და თვითონვე იღებდნენ თავიანთი ცთომის საკადრის სასჯელს.

კორინთელთა.

6.9. ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღმრთის სასუფეველს. ნუ შეცდებით: ვერც მეძავნი, ვერც კერპთმსახურნი, ვერც მემრუმენი, ვერც ჩუკუნნი, ვერც მამათმავალნი,

6.11. ოდესღაც ზოგიერთი თქვენგანი ამნაირი იყო; მაგრამ განიზანეთ, მაგრამ განიწმინდეთ, მაგრამ გამართლდით უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს სახელითა და ღმერთის ჩვენის სულით.

ტიმოთე 1.

1.9. რადგანაც გვესმის, რომ რჯული მართლისთვის კი არაა დადგენილი, არამედ ურჯულოთა და ურჩთა, უღმერთოთა და ცოდვილთა, მკრეხელთა და ბილწთა, დედამამის მკვლელთა და კაცისმკვლელთათვის, 10. მეძავთა, მამათმავალთა, კაცის

¹³ http://en.wikipedia.org/wiki/The_Bible_and_homosexuality

გამყიდველთა, ცრუთა, ფიცის გამტეხთა და ყველა სხვათათვის, თავიანთი ქცევით რომ ეწინააღმდეგებიან საღ მოძღვრებას, 11. თანახმად ნეტარი ღვთის დიდებული სახარებისა, რომელიც მე მაქვს მონდობილი.

პავლეს ეპისტოლეში სიტყვა „მამათმავალის“ აღსანიშნავად ნეოლოგიზმიც გვხვდება: $\delta\rho\sigma\nu\kappa\iota\omicron\tau\eta\varsigma$ - არსენოკოიტეს - „არსენ“ - კაცი, „კოიტენ“ - სექსუალური კავშირი.

აღსანიშნავია, რომ ჰომოსექსუალების წინააღმდეგ კანონი კონსტანტინეს შვილებმა (კონსტანტინე მეორემ და კონსტანსმა) მიიღეს, კონსტანტინეს გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ: 342 წელს. ეს კანონი კრძალავდა გეი პროსტიტუციას, გეი ქორწინებას და აცხადებდა ჰომოსექსუალიზმს კანონგარეშედ. მიუხედავად იმისა, რომ კონსტანსის შესახებ იყო ხმები, რომ მას ჰყავდა მამაკაცი საყვარლები¹⁴.

ვფიქრობ, საინტერესო და ოდნავ წინამდებეობრივი სურათი მივიღეთ: ამ სურათის მოხაზულობა ასეთია:

1. პირველ საუკუნეში პავლეს და სხვა მოციქულების ძალისხმევით მოხდა ქრისტიანული რელიგიის ინსტიტუციური სახის ჩამოყალიბება;
2. ჩამოყალიბებიდან დაახლოებით ორი საუკუნე - ქრისტიანობა იკრებდა მომხრეებს - ძირითადად ქალაქებში და ელიტას შორის (სიტყვა pagan-ის პირველი მნიშვნელობა სოფლის მოსახლეობაა);
3. კონსტანტინე დიდის მიერ პოლიტიკური მხარდაჭერის გამო - ქრისტიანული რელიგიის ბუმი მეოთხე საუკუნიდან დაიწყო;
4. ამავე დროიდან იწყება ქრისტიანულ რელიგიაზე დამყარებული რეპრესიული მორალისტური კანონების მიღების დასაწყისი;
5. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად - ქრისტიანობის უძლურება გაენადგურებინა წარმართობა, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის ოფიციალური პირები გამოდნენ სხვა რელიგიას და არანაირად არ იყვნენ ტოლერანტულნი მათ მიმართ;

საინტერესოა იმის დაფიქსირება, რომ ქრისტიანობა სულაც არ იყო ღარიბი ხალხის, ე.წ. „პლებსის“ რელიგია. ყოველ შემთხვევაში, ის ასეთი არ იყო მე-3-დან მე-5 საუკუნემდე.

¹⁴ Kuefler, Mathew (2007). "The Marriage Revolution in Late Antiquity: The Theodosian Code and Later Roman Marriage Law". *Journal of Family History* 32 (4): 343–370.

ერთი განსხვავებულობა სხვა რელიგიებისგან, ცხადია, იყო ქალებისადმი დამოკიდებულება და მათი კაცებთან თანასწორუფლებიანობის ქადაგება. მეორე განსხვავებულობა, რომელზეც რატომღაც არცერთი რელიგიის ისტორიკოსი არ ამახვილებს ყურადღებას, იყო ჰომოსექსუალობის, როგორც გამოუსყიდავი ცოდვის, დაგმობა. თუმცა, პავლეს დროს ქრისტიანობა მართლაც შეიძლება ყოფილიყო ღარიბების და პლებსის რელიგია, მაგრამ, ცხადია, რომ იმ დროისათვის, როდესაც კონსტანტინე დიდმა დაიწყო ქრისტიანობის მხარდაჭერა, ის ასეთი უკვე დიდი ხანია აღარ იყო.

გასათვალისწინებელია, რომ კონსტანტინემდე რომის მხოლოდ ერთ იმპერატორს მიეწერება ქრისტიანობა - ფილიპე არაბს - რომლის სამწლიანი მმართველობის გამორჩეული ნიშანი ჰომოსექსუალობის აკრძალვა იყო¹⁵.

თუკი ამ წიგნში გამოთქმული დაშვებები/მსჯელობები მართებულია, ქალების კაცებთან თანასწორობა და ჰომოსექსუალობის აკრძალვა უნდა ყოფილიყო ის ორი წერტილი, რომელიც შესაძლებელ ახალ წესრიგს მიუთითებდა: რომანული რელიგიის კულტის მსახურების უმეტესობა ჰომოსექსუალი უნდა ყოფილიყო, რაც სისტემის მოწინააღმდეგის მიერ ავტომატურად ნიშნავდა მმართველი (ქურუმთა) კლასის და ჰომოსექსუალური ქცევის გაიგივებას.

შესაძლებელია, პირველი საუკუნის რომში ღარიბების და მონების დიდი ნაწილის გაქრისტიანების მიზეზი სწორედ ეს განსხვავებულობა იყო: რელიგია, რომელიც პირდაპირ ამბობდა, რომ ის ქცევის წესი, რომელსაც სხვა, მათ შორის გაბატონებული კულტების მსახურები მისდევდნენ, იყო უპირობოდ დასაგმობი და არასწორი. შემდეგ, მეორე, მესამე და მეოთხე საუკუნეებში, როგორც ჩანს, ელიტისათვის და ქალაქების მოსახლეობისათვის ქრისტიანობამ არსებული წესრიგის მიმართ პროტესტის ფორმა მიიღო: რა თქმა უნდა, ეს პროტესტი მხარდაჭერილი იქნებოდა ელიტის ქალების მიერ, რომლებსაც ქრისტიანობა: 1. აძლევდა იგივე უფლებებს, რასაც კაცებს, და 2. ერთ კონკრეტულ ქალს ერთი კონკრეტული კაცის პარტნიორად აქცევდა - უარყოფდა რა პროსტიტუციას და ჰომოსექსუალობას. ელიტის წევრ იმ კაცებს შორისაც უნდა ყოფილიყვნენ ქრისტიანობის მომხრეები, რომლებიც არ იყვნენ ჩართული რომაული კულტის მსახურებაში და შესაბამისად, არც ის პრივილეგიები და ძალაუფლება უნდა ჰქონოდათ.

¹⁵ Southern, Pat. The Roman Empire from Severus to Constantine, Routledge, 2001

ვფიქრობ, ისტორიის კვლევის მეთოდები საკმარისად დაიხვეწა ბოლო ორი საუკუნის მანძილზე იმისათვის, რომ სახელმწიფოს მმართველების მიერ მიღებული რელიგიის და რწმენის მიმართ გადაწყვეტილებებში და მათ წარმატებულ განხორციელებაში ძალაუფლების გამტკიცების და სახელმწიფოს საზღვრების გაფართოების ზრუნვის გარდა, პირველად მიზეზებად, რაიმე სხვა, იდეალისტური ან პირიქით, გრძნობებზე და ვნებებზე დამყარებული მოქმედება დავინახოთ.

ეს სრულებით არ გამორიცხავს იმას, რომ კონსტანტინე დიდის პირადი სიმპატია ქრისტიანობის მიმართ დიდი იყო, ანდა იმას, რომ დედამ მას ბავშობიდანვე ჩაუნერგა ქრისტიანობის, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგიის სიყვარული.

მაგრამ, კონსტანტინეს და მისი მემკვიდრეების პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ვივარაუდოთ სენტიმენტების და არაპოლიტიკური მოტივების და გეგმების როლი, ნიშნავს იმას, რომ კვლავ დავრჩებით გულუბრყვილო მითების ტყვეობაში.

ყველა სხვა რელიგიებისაგან განსხვავებით, ქრისტიანობას ჰქონდა ოთხი რამ, რასაც შეეძლო კონსტანტინეს პოლიტიკური ინტერესი გამოეწვია:

1. ქრისტიანობა იყო უნივერსალური რელიგია ყველასათვის - ის არ იზღუდებოდა არც სქესით (მაგ. როგორც მითრაიზმი) და არც ეროვნებით და არც ენით (მაგ. როგორც იუდაიზმი);
2. ქრისტიანობას განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა „ოჯახის“ ქალებისადმი - ის არ ასხვავებდა ამ ქალებს და კაცებს ერთმანეთისაგან პრივილეგიების და მოვალეობების მხრივ;
3. ქრისტიანობა არ იყო ტოლერანტული სხვა რელიგიების მიმართ და აცხადებდა თავის რელიგიას ჭეშმარიტების ერთადერთ მფლობელად;
4. ქრისტიანობა გარდაუვლად და კომპრომისების გარეშე ეწინააღმდეგებოდა გეი ჰომოსექსუალობას, და ასევე, საერთოდ ნებისმიერ ჰომოსექსუალობას თვლიდა ცოდვად და დასჯის ღირსად.

არც ერთ სხვა რელიგიას არ ჰქონდა ეს ნიშნები: იუდაიზმი ყველაზე ახლოს იყო ამ ნიშნებთან, მაგრამ ის ოფიციალურ დოქტრინად (ძველ აღთქმაშიც) უშვებდა „ცრუ“, უფრო დაბალი რანგის ღმერთების არსებობას (მოსეს წიგნი), ხოლო მის მიერ ჰომოსექსუალობის დევნა/გმობა - მხოლოდ ებრაელების თემით იყო შეზღუდული.

პირველი იმპულსი, რომელიც მკვლევარს უჩნდება ამ მონაცემების და ვარაუდების გაცნობისას მარტივია: კონსტრუქცია, რომლის მიხედვითაც კონსტანტინეს უნდოდა ქურუმების ძალაუფლების შეზღუდვა და ამიტომ დაუჭირა მხარი ქრისტიანობას, თითქოს ხსნის ამ ამოცანას. მაგრამ, რომელი იმპერატორების ტიტულებში ისედაც შედიოდა პონტიფიკოსის ტიტული, რომელიც ქურუმთა საბჭოს თავმჯდომარეობას ნიშნავდა. ამ მხრივ - ანუ, ქურუმების კონტროლის მხრივ, იმპერატორს პრობლემა არ უნდა ჰქონოდა. ისიც აღსანიშნავია, რომ კონსტანტინეს არ ჩაუტარებია რეპრესიები რომაული კულტის მსახურთა მიმართ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითქოსდა ის პირველი იყო, ვინც სიკვდილით დასაჯა ჰომოსექსუალი, არ დასტურდება.

ამოცანის ამოხსნა ტეტრარქის ომებში, კონკრეტულად კი 310 წლის სამოქალაქო ომშია (კონსტანტინეს და მაქსენტუსის ბრძოლა), რომლის დროსაც კონსტანტინეს იმპერატორად ლეგიტიმაცია დაიწყო. სამოქალაქო ომს წინ უძღოდა დიოკლიტიანეს მიერ დაწყებული ქრისტიანთა რეპრესიები, რომელიც გალერიუსმა წარმატებით გააგრძელა¹⁶. გამომდინარე იქიდან, რომ მესამე საუკუნე რომისათვის კრიზისის საუკუნე იყო, რომელიც დიოკლიტიანემ შეწყვიტა, ერთი მხრივ, ტეტრარქიის (ოთხთა მმართველობის - დიოკლიტიანე, მაქსიმიანი, გალერიუსი და კონსტანტინუსი) შემოღებით და ქრისტიანთა მიმართ რეპრესიებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქრისტიანული თემი ძლიერად იყო ჩართული პოლიტიკურ ბრძოლებში, ცხადია, დიოკლიტიანეს და რომაული წესრიგის წინააღმდეგ. გალერიუსმა სიკვდილის წინ გამოაცხადა დევნის შეწყვეტა. როდესაც კონსტანტინეს (კონსტანტინუსის შვილი) და მაქსენტუსის (მაქსიმიანის შვილი) ჯარები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მაქსენტუსის ჯარის რიცხვი კონსტანტინეს ჯარს თითქმის ორჯერ აღემატებოდა. ცნობილია, რომ ამ ბრძოლაში კონსტანტინეს ჯარისკაცების ფარებზე და შტანდარტებზე ქრისტიანული სიმბოლოები იყო გამოსახული. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ქრისტიანობის მხარდაჭერა იმ, როგორც ჩანს, მრავალრიცხოვანი ჯგუფის მხარდაჭერას ნიშნავდა, რომელიც მანამდე, დიოკლიტიანეს რომის მიერ დადგენილი წესრიგის მოწინააღმდეგე იყო. დღეს ძნელია დაასკვნა, იყო თუ არა კონსტანტინეს მიერ რომის დატოვება რომის ეპისკოპოსის მმართველობაში, მისი კონსტანტინეპოლში გადასვლის შემდეგ, ქრისტიანების მხარდაჭერის ფასი. თუმცა, ცხადია, რომ ქრისტიანობამ, როგორც კონსტანტინეს გამარჯვებაში, ისევე, მის

¹⁶ Bowder, Diana. The Age of Constantine and Julian. New York: Barnes & Noble, 1978.

ქცევაში ერთადერთ მმართველად (მისი სიძის, ლუციუსის დამარცხების შემდეგ, რომელმაც საკუთარი ჯანყი კონსტანტინეს წინამძღვევ ქრისტიანების შევიწროებით დაიწყო), დიდი როლი ითამაშა.

კონსტანტინე დიდის შემდეგ ქრისტიანობამ ნელ-ნელა დომინანტური ფორმა მიიღო. მისი აკრძალვები ასევე, ნელ-ნელა საყოველთაო გახდა: მაგ: 342 წელს კონსტანტინეს მემკვიდრეებმა მიიღეს კანონი ჰომოსექსუალობის წინააღმდეგ. 529 წელს იუსტინიანეს კოდის მიხედვით ბიზანტიის იმპერიაში ჰომოსექსუალობა საბოლოოდ აკრძალა და გახდა კანონგარეშე¹⁷.

სავარაუდოა, რომ პირველ საუკუნეში პავლეს არჩევანი რელიგიის შექმნის და განვითარების მიხედვით ორი მიმართულებით წარიმართა. ორივე მიმართულება მიმდევრების შემოკრების მიზნით იყო განპირობებული: 1. სოციალური ფაქტორი: ქალების უფლებები და ქალთა და კაცთა თანასწორუფლებიანობა - ეს მიდგომა და ხედვა საშუალებას იძლეოდა ქალების „ხმების“, „სულების“ მოპოვების: რომის იმპერიაში და იმპერიის სამეზობლოში არსებულ არც ერთ იმდროინდელ რელიგიაში ქალის და კაცის თანასწორუფლებიანობა არ იყო დადგენილი. შეიძლება ითქვას, რომ ამით პავლემ გადადგა ნაბიჯი ნეანდერტალური ემანსიპაციის შედეგების აღსადგენად; 2. პოლიტიკური ფაქტორი: ჰომოსექსუალობის აკრძალვა - ეს აკრძალვა პირდაპირ იყო მიმართული ელიტის გარკვეული ჯგუფის, ქურუმების წინააღმდეგ. ისევე, როგორც რომაულ რელიგიაში, მის კულტმსახურების ქცევის წესში ჰომოსექსუალობა ქცევის მიღებული ნორმა უნდა ყოფილიყო. ამ ქცევის შეჭიდულობა სიმდიდრესთან, გავლენასთან და რომაულ რელიგიასთან ქმნიდა საუკეთესო საშუალებას ქრისტიანობის გარშემო ღარიბი ხალხის და ნაკლებად გავლენიანი ელიტის შემოსაკრებად.

ასე ჩაუყარა პავლემ საფუძველი ქრისტიანობას, რომელმაც ისტორიული თვალსაზრისით მალე, ორნახევარ საუკუნეში გამოიღო შედეგი: ქრისტიანობა გახდა

¹⁷ Timeline of LGBT history.

https://docs.google.com/viewer?a=v&q=cache: onQ7U4rBecJ:www.ct.gov/dcf/lib/dcf/wmv/pdf/timeline_of_lgbt_history.pdf+constantine+I+and+gays&hl=en&pid=bl&srcid=ADGEESgullIegj9a4KV3e-QhXOEDhN8hzpp-rATZ2HTOltmbDzkTji8Lnyzqwm uitKzNNnSHy0cjfeXkY9zIEckv5gVyt91Vau9 e8OmmVYc9aIFKjBgeQZ5 AdN QpMgbUHcxMFZwIC&sig=AHIEtbR6UYWodbPryFWbmLJ2AY_R0I11-g

ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალა, ხოლო საბოლოოდ - ერთადერთი რელიგია რომის იმპერიაში.

თუმცა, საინტერესოა ის ფასი, რაც ადამიანის სახეობამ გადაიხადა ამისათვის: როგორც ვნახეთ, ჰომოსექსუალური ქცევა ისტორიულად და გენეტიკურად ინოვაციურობასთან და შემოქმედებითობასთან მჭიდრო კავშირში უნდა ჩამოყალიბებულიყო. ბუნებრივია, ქრისტიანობის გამარჯვებამ ვერ შეძლო გენეტიკურად ჩამოყალიბებული სისტემის „ამოღება“. შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ „რომაული რელიგიის კულტის მსახურებმა“, შამანებმა, ქრისტიანულ რელიგიას შეაფარეს თავი: როგორც ევროპის ისტორიიდან ვიცით, თითქმის მთელი ინოვაციური და შემოქმედებითი პოტენციალი - მონასტრების კედლებში იყო მოთავსებული: მართლაც, ქრისტიანობის აკრძალვებისაგან დაცვა მხოლოდ მონასტრების კედლებში თუ იყო ეფექტურად შესაძლებელი. ეს იყო ერთსა და იმავე დროს დაცვაც და აკრძალვაც: მონასტრების მკაცრი კოდექსები, შესაძლებელია, ამ აკრძალვის არსებობის და გამყდავნების შიშითაც იყო განპირობებული. ბოლო დრომდე, ეკლესიის იერარქები ერთსა და იმავე დროს მისდევდნენ/თვალს არიდებდნენ ეკლესიებში გავრცელებულ ჰომოსექსუალურ პრაქტიკას, და ამავე დროს, მკაცრად სჯიდნენ ამ პრაქტიკის გამყდავნების სუბიექტებს.

არ არის გამორიცხული, რომ ქრისტიანობის მიერ ჰომოსექსუალიზმის აკრძალვა გახდა ე.წ. „ბნელი შუა საუკუნეების“ საფუძველი: ტექნოლოგიები და საზოგადოებრივი სისტემები ძალიან ნელა ვითარდებოდა ქრისტიანულ ევროპაში და მუსულმანურ ქვეყნებში. მე-6 საუკუნეში, 529 წელს პლატონის აკადემიის აკრძალვით 5 საუკუნით დაიხურა საერო ინოვაციები და შემოქმედებითობა. მხოლოდ 500 წლის შემდეგ, ბოლონიაში გახდა შესაძლებელი საერო საგანმანათლებლო სისტემების აღდგენა. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ პაპის 1163 წლის ბრძანება, რომელიც საფუძველად დაედო უნივერსიტეტების წარმოშობას, ნეგატიური იყო, ანუ, უკრძალავდა სასულიერო პირებს საერო საგანმანათლებლო საქმიანობას. საბოლოო ჯამში, ამ აკრძალვის მიზანი ინოვაციურობის და შემოქმედებითობის კვლავ მონასტრების კედლებში დაბრუნების და კვლავ ექსკლუზიურად ქცევისაკენ იყო მიმართული. თუმცა, სწორედ ამ აკრძალვამ „გამოუშვა“ ის ძალა, რომელმაც საუნივერსიტეტო განათლებაზე დაყრდნობით შესაძლებელი გახადა ევროპის შემდგომი განვითარება – ის ისტორიული პროცესი, რომლებიც დასავლური რენესანსების სახელებითაც ცნობილი.

